ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N 17

07 ივლისი 2015 წელი

ერთი მხრივ ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ ფუშრუკაულის საჯარო სკოლა (შემდგომში „შემსყიდველი“), წარმოდგენილი დირექტორის ევგენი სურმანიძის სახით და მეორე მხრივ ინდ. მეწარმე თენგიზ ბოლქვაძის (შემდგომში „მიმწოდებელი“), სახით, ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანია: სხვადასხვა საოფისე მოწყობილობის და საკანცელარიო ნივთების (CPV 30190000) მიწოდება.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 1800 (ერთიათასრვაასი) ლარს.

2.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობებით მიწოდებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა სავარაუდო ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს, რომელთა გადახდაზეც პასუხისმგებელია მიმწოდებელი.

3. საქონლის მიწოდების ვადა და ადგილი

3.1. საქონლის მიწოდება მიმწოდებელმა უნდა განახორციელოს შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად ხელშეკრულების გაფორმებიდან 2015 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდში.

3.2. საქონლის მიწოდების ადგილია ხულო.

4. ანგარიშსწორების ფორმა, წესი და ვადები

4.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ხელშეკრულებით გათვალსწინებულ რეკვიზიტებზე ეროვნულ ვალუტაში, ფაქტობრივად მიწოდებული საქონლის შესაბამისად მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან ან/და შესაბამისი ანგარიშსწორების დოკუმენტის წარმოდგენიდან 31 დღის ვადაში.

4.4. ხელშეკრულების ფარგლებში მისაწოდებელი საქონლის გარკვეული ნაწილის აუთვისებლობის შემთხვევაში, მიმწოდებელს არ უნდა გააჩნდეს პრეტენზია დარჩენილ თანხაზე

.5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

5.1 შემსყიდველს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი.

6. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

6.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0.07 პროცენტის ოდენობით.

7. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

7.1. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

8. სხვა პირობები

8.1. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე. მესამე პირებთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

8.2. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

8.5. ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად მხარეთათვის.

9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

9.1. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2015 წლის 31 დეკემბრამდე.

10. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
სსიპ სოფელ ფუშრუკაულის	
საჯარო სკოლა	
მის: სოფელი ფუშრუკაული	ი.მ./თენგიზ ბოლქვაძე
ს/კ 248053939	მის: დაბა ხულო
ს.ს. ,,საქართველოს ბანკი”	ს/კ 61009006669
მფო BAGAGE22	ს.ს. ლიბერთი ბანკის ხულოს ფილიალი
ა/ა GE32BG0000000930296000GEL	ბანკის კოდი: LBRTGE22
	ა/ა GE75LB0112117140856000
დირექტორი. /ე. სურმანიძე/	ი.მ. /თ.ბოლქვაძე/